საერთაშორისო არბიტრაჟში
პროცესის ეფექტური
ორგანიზების წესები

(პრაღის წესები)

შესავალი სამუშაო ჯგუფისაგან

დღესდღეობით არბიტრაჟის მომხმარებელთა მხრიდან საარბიტრაჟო განხილვის ვადებითა და საფასურით უკმაყოფილება პრაქტიკულად არავის აკვირვებს.

საარბიტრაჟო განხილვის ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთი საშუალება შეიძლება იყოს საარბიტრაჟო შემადგენლობების[1] წახალისება, რათა მათ უფრო აქტიური როლი შეასრულონ საარბიტრაჟო პროცესის ორგანიზებაში (როგორც ეს ხშირად ხდება კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე მრავალ ქვეყანაში).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი 30 წარმომადგენლის შემადგენლობით, ძირითადად, კონტინენტური სამართლის ქვეყნებიდან. სამუშაო ჯგუფის მონაწილეთა სია მოცემულია პრაღის წესების დანართ I-ში. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს საერთაშორისო არბიტრაჟის საპროცესო ტრადიციების კვლევა თავიანთ ქვეყნებში. იმ რესპონდენტთა სია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოკითხვაში და დასმულ კითხვებზე წარადგინეს პასუხები, მოცემულია პრაღის წესების დანართ II-ში. ხსენებული კვლევის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა მოამზადა წესების პირველი პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა 2018 წლის იანვარში.

წესების პროექტმა გამოიწვია საარბიტრაჟო დარგის სპეციალისტთა შორის მწვავე განხილვები; წესების პროექტის განხილვა იმართებოდა საარბიტრაჟო ღონისძიებებზე მთელ მსოფლიოში, მათ შორის ავსტრიაში, ბელარუსიაში, დიდ ბრიტანეთში, საქართველოში, ესპანეთში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკრაინაში, საფრანგეთსა და შვედეთში. ამ განხილვებმა, ასევე, აჩვენა, რომ წესები, რომელთა გამოყენება თავდაპირველად დაგეგმილი იყო კონტინენტური სამართლის ქვეყნების მხარეებს შორის დავებში, სინამდვილეში შეიძლება გამოყენებულ იქნან საარბიტრაჟო განხილვებში, სადაც დავის ბუნება ან მისი მოცულობა ამართლებს უფრო რაციონალიზირებული პროცედურის გამოყენებას საარბიტრაჟო შემადგენლობის აქტიური მმართველობით - პრაქტიკა, რომელიც ზოგადად მოწონებულია არბიტრაჟის მომხმარებელთა მიერ.

საარბიტრაჟო დარგის სპეციალისტებისგან მიღებული კომენტარების წყალობით შესაძლებელი გახდა წესების პროექტის შემდგომი სრულყოფა, რის შედეგადაც აღნიშნული წესები მზად იყო ხელმოსაწერად 2018 წლის 14 დეკემბერს, პრაღაში. სამუშაო ჯგუფს სურს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოს: ასსენ ალექსიევს, ჰანს ბაგნერს, პროფესორსა და დოქტორს კლაუს პეტერ ბერგერს, დავიდ ბიოკენფიორდეს, მიროსლავ დუბოვსკის, პროფესორსა და დოქტორს კრისტინა იოანა ფლორესკუს, დუარტე ჯ. ჰენრიქეს, ალექსანდრე ხრაპუცკის, ვლადიმირ ხვალეის, დოქტორს კრისტოფ ლიბშერს, ანდრეი პანოვს, ოლენა პერეპელინსკას, ასკო პოლას, რომან პრეკოპსა და ჟოსე როზელლს, რომელთაგან თითოეულმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წესების პროექტის შემუშავებაში.

1 სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყეტილება ტერმინის „Arbitral Tribunal“ თარგმნისას გამოიყენოს უფრო გავრცელებული და მიღებული ტერმინი „არბიტრაჟის შემადგენლობა“, მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყნებში (მაგალითად, რუსეთში) გამოიყენება ტერმინი „Третейский суд».

საერთაშორისო არბიტრაჟში პროცესის ეფექტური ორგანიზების პრაღის წესების პრეამბულა

საერთაშორისო არბიტრაჟში პროცესის ეფექტური ორგანიზების პრაღის წესები მიმართულია საარბიტრაჟო შემადგენლობებისა და მხარეებისათვის დაადგინოს ჩარჩოები და/ან სახელმძღვანელო პრინციპები, თუ როგორ გაიზარდოს საარბიტრაჟო განხილვის ეფექტურობა საარბიტრაჟო პროცესის წარმართვაში საარბიტრაჟო შემადგენლობების მეტი აქტიურობის წახალისების მეშვეობით.

პრაღის წესები არ ანაცვლებენ სხვადასხვა ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესებს, არამედ წარმოადგენენ კონკრეტული დავის გადაწყვეტისას მხარეთა მიერ შეთანხმებულ ან საარბიტრაჟო შემადგენლობების მიერ სხვაგვარად გამოყენებული პროცედურის დამატებას.

მხარეებსა და საარბიტრაჟო შემადგენლობებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება გამოიყენონ პრაღის წესები როგორც სავალდებულო დოკუმენტი ან სახელმძღვანელო პრინციპები მთელი პროცესის ან მისი ცალკეული ნაწილისათვის. მათ, ასევე, შეუძლიათ გამორიცხონ პრაღის წესების ამა თუ იმ ნაწილის გამოყენება ან მიიღონ გადაწყვეტილება მათი მხოლოდ კონკრეტული ნაწილის გამოყენების შესახებ.

საარბიტრაჟო შემადგენლობებსა და მხარეებს, ასევე, შეუძლიათ შეცვალონ პრაღის წესების დებულებები საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 1. პრაღის წესების გამოყენება

1.1. არბიტრაჟის მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ პრაღის წესების გამოყენებაზე არბიტრაჟის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

1.2. არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია გამოიყენოს პრაღის წესები ან მათი ნებისმიერი ნაწილი როგორც მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით მაგრამ მხოლოდ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ.

1.3. ყველა შემთხვევაში, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სამართლის იმპერატიული ნორმები, რომლებიც გამოიყენება საარბიტრაჟო წარმოების (lex arbitri) მიმართ და ასევე, საარბიტრაჟო რეგლამენტის დებულებები და მხარეთა საპროცესო შეთანხმებები.

1.4. განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და პრაღის წესების გამოყენებისას, არბიტრაჟის შემადგენლობამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და თანაბარი დამოკიდებულება მხარეების მიმართ და მისცეს მათ გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინონ თავისი პოზიციები.

მუხლი 2. არბიტრაჟის შემადგენლობის პროაქტიული როლი

2.1. საქმის მასალების მიღების შემდეგ, არბიტრაჟის შემადგენლობამ უნდა გამართოს საორგანიზაციო სხდომა ყოველგვარი უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე.

2.2. საორგანიზაციო სხდომის მიმდინარეობისას, არბიტრაჟის შემადგენლობამ უნდა:

a. განიხილოს მხარეებთან პროცედურული განრიგი;

b. გაარკვიოს მხარეთა პოზიციები შემდეგზე:

   i. მხარეთა სასარჩელო მოთხოვნების შესახებ;

   ii. რომელ ფაქტებს ხდიან მხარეები სადავოდ და რომელს - არა; და

   iii. სამართლებრივი საფუძვლების შესახებ, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ პოზიციას.

2.3. თუ მხარეთა პოზიციები არ იქნა წარმოდგენილი სათანადო დონეზე საორგანიზაციო სხდომის ჩატარების მომენტისათვის, არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია განიხილოს 2.2. პუნქტში მითითებული საკითხები განხილვის შემდგომ სტადიაზე.

2.4. არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია, საორგანიზაციო სხდომის მიმდინარეობისას ან განხილვის შემდგომ სტადიაზე, თუ ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, მიუთითოს მხარეებს:

a. ფაქტები, რომლებსაც არბიტრაჟის შემადგენლობა მიიჩნევს, რომ მხარეები არ ხდიან სადავოდ და ფაქტები, რომლებსაც არბიტრაჟის შემადგენლობა თვლის, რომ მხარეები ხდიან სადავოდ;

b. სადავო ფაქტებთან მიმართებით - მტკიცებულებების სახეობები, რომლებსაც არბიტრაჟის შემადგენლობა მიიჩნევს აუცილებლად მხარეთა პოზიციების დასამტკიცებლად;

c. სამართლებრივი საფუძვლების მისეული გაგება, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ პოზიციებს;

d. მოქმედებები, რომლებიც შეიძლება განახორციელონ მხარეებმა და არბიტრაჟის შემადგენლობამ წარდგენილი სარჩელის ან შესაგებლის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების დასადგენად;

e. თავისი წინასწარი ხედვა შემდეგზე:

   i. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის გადანაწილების შესახებ;

   ii. გაცხადებული სასარჩელო მოთხოვნების შესახებ;

   iii. სადავო საკითხების შესახებ; და

   iv. მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მნიშვნელობისა და დასაშვებობის შესახებ.

ასეთი წინასწარი მოსაზრების წარმოდგენა, თავისთავად, არ უნდა იქნას განხილული, როგორც არბიტრაჟის შემადგენლობის დამოუკიდებლობისა ან მიუკერძოებლობის არ ქონის მტკიცებულება და არ შეიძლება გახდეს აცილების საფუძველი.

2.5. პროცედურული განრიგის განსაზღვრისას არბიტრაჟის შემადგენლობას, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება - სამართლის ან ფაქტის ცალკეული საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ წინასწარი ხასიათის საკითხების სახით, მხარეთა წერილობითი განცხადებების გაცვლის რაუნდების რაოდენობის შეზღუდვის, ამგვარი განცხადებების მოცულობის თაობაზე, ასევე, დაადგინოს მკაცრი ვადები მათი წარდგენისათვის, მტკიცებულებების წარდგენის ფორმა და ფარგლები (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 3. ფაქტების დადგენა

3.1. არბიტრაჟის შემადგენლობა უფლებამოსილია, და მას რეკომენდებულიც აქვს, შეასრულოს პროაქტიული როლი საქმის გარემოებების დადგენაში, რომელსაც მიიჩნევს არსებითი მნიშვნელოვნელობის მქონედ დავის გადაწყვეტისათვის. თუმცა, ასე ვიტყოდი: თუმცა, აღნიშნული არ ათავისუფლებს მხარეებს მათზე დაკისრებული მტკიცების ტვირთისაგან.

3.2. კერძოდ, არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და საკუთარი ინიციატივით:

a. მოსთხოვოს ნებისმიერ მხარეს შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენა ან მოწმეების მოწვევის უზრუნველყოფა საქმის განხილვისას ფაქტზე ჩვენებების მისაცემად;

b. დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი, მათ შორის სამართლის საკითხებზე;

c. გასცეს განკარგულება ადგილზე ინსპექციის ჩატარების შესახებ; და/ან

d. ფაქტების დადგენის მიზნით განახორციელოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რომელსაც ჩათვლის მიზანშეწონილად.

3.3. არბიტრაჟის შემადგენლობამ უნდა განიხილოს საკითხი მტკიცებულებების წარდგენისათვის საბოლოო ვადის დაწესებისა და აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ახალი მტკიცებულებების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, გარდა განსაკუთრებული გარემოებების არსებობისა.

მუხლი 4. დოკუმენტური მტკიცებულებები

4.1. თითოეულმა მხარემ, განხილვის მიმდინარეობისას რაც შეიძლება ადრე, უნდა წარმოადგინოს დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს.

4.2. საერთო წესის შესაბამისად, არბიტრაჟის შემადგენლობისა და მხარეებისათვის რეკომენდებულია თავი აარიდონ მტკიცებულებების გამჟღავნებას ნებისმიერი ფორმით, მათ შორის მტკიცებულებების ელექტრონული გამჟღავნება (e-discovery).

4.3. თუმცა, თუ ერთ-ერთი მხარე თვლის, რომ მას დასჭირდება მეორე მხარისგან გარკვეული დოკუმენტების გამოთხოვა, მან უნდა შეატყობინოს ამის შესახებ არბიტრაჟის შემადგენლობას საორგანიზაციო სხდომაზე და განმარტოს დოკუმენტების გამოთხოვის მიზეზები მოცემულ კონკრეტულ საქმეზე. თუ არბიტრაჟის შემადგენლობა დარწმუნდება დოკუმენტების გამოთხოვის საჭიროებაში, მან უნდა გადაწყვიტოს საკითხი დოკუმენტის გამოთხოვის პროცედურასთან დაკავშირებით და მიუთითოს შესაბამისი სტადია პროცედურულ განრიგში.

4.4. მხარე უფლებამოსილია სთხოვოს არბიტრაჟის შემადგენლობას დაადგინოს დოკუმენტების გამოთხოვის პროცედურა შემდგომ სტადიაზე მხოლოდ გამონაკლისი გარემოებების არსებობისას. ასეთი თხოვნა დაკმაყოფილებული უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟის შემადგენლობა დარწმუნდება, რომ მხარეს არ შეეძლო აღნიშნული მოთხოვნის დაყენება საორგანიზაციო სხდომის დროს.

4.5. 4.2. – 4.4. პუნქტების დებულებების გათვალისწინებით, მხარეს შეუძლია სთხოვოს არბიტრაჟის შემადგენლობას გასცეს განკარგულება, რომ მეორე მხარემ წარმოადგინოს კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც:

a. დაკავშირებულია საქმესთან და საქმის საბოლოო შედეგისათვის არსებითად მნიშვნელოვანია;

b. არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი; და

c. მეორე მხარის განკარგულებაშია ან არის მისი კონტროლის ქვეშ.

4.6. არბიტრაჟის შემადგენლობას, ამ თხოვნასთან მიმართებით მეორე მხარის მოსაზრების მოსმენის შემდეგ, შეუძლია გასცეს განკარგულება, რათა ამ მხარემ წარმოადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტი.

4.7. დოკუმენტების წარდგენა ხდება ფოტოასლების სახით ან/და ელექტრონული ფორმით. წარმოდგენილი დოკუმენტები ჩაითვლება დედნების იდენტურად თუ მეორე მხარე ამას სადავოდ არ გახდის. თუმცა არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია ნებისმიერი მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით გასცეს განკარგულება, რომ დოკუმენტის წარმდგენმა მხარემ უზრუნველყოს დოკუმენტის დედნის წარდგენა არბიტრაჟის შემადგენლობის ან ექსპერტის მიერ შესწავლის მიზნით.

4.8. არბიტრაჟის შემადგენლობა და მეორე მხარე ვალდებულნი არიან, დაიცვან საარბიტრაჟო განხილვის დროს წარმოდგენილი და საჯაროდ არახელმისაწვდომი დოკუმენტის კონფიდენციალობა, ამასთან, ასეთი დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოსაყენებელი სამართლის დებულებები ავალდებულებს მხარეს დოკუმენტის გასაჯაროებას.

~

მუხლი 5. მოწმეები ფაქტთან დაკავშირებულ საკითხებზე

5.1. სასარჩელო მოთხოვნის ან შესაგებლის წარდგენისას, ასევე, საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, რომელსაც არბიტრაჟის შემადგენლობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, მხარემ უნდა მიუთითოს:

a. თითოეული მოწმე (არსებობის შემთხვევაში) ფაქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლის ჩვენებებზეც აღნიშნული მხარე ამყარებს თავის პოზიციას;

b. ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიმართებით შესაბამისი მოწმე, ფაქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე, აპირებს ჩვენების მიცემას; ასევე,

c. ასეთი ჩვენებების საქმესთან კავშირი და მათი არსებითი მნიშვნელობა საქმის შედეგისთვის.

5.2. არბიტრაჟის შემადგენლობა, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი მოწმეები უნდა იყვნენ დაბარებულნი დაკითხვისთვის განხილვაზე ქვემოთ მოცემული 5.3. – 5.9. პუნქტების შესაბამისად.

5.3. არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ დაიბაროს მოწმე დაკითხვაზე, ამ მოწმის მიერ როგორც წერილობითი ჩვენებების წარდგენამდე, ასევე, წარდგენის შემდეგ, კერძოდ, თუ ჩათვლის რომ მისი ჩვენებები არ არის საქმესთან კავშირში, დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის არმქონეა, არაგონივრულია, იმეორებენ სხვა მოწმეების ჩვენებებს ან ნებისმიერი სხვა მიზეზით დავის გადაწყვეტისათვის აუცილებელი არ არის.

5.4. თუ არბიტრაჟის შემადგენლობა მიიღებს გადაწყვეტილებას არ გამოიძახოს მოწმე დასაკითხად ზეპირ მოსმენაზე ასეთი მოწმის მიერ წერილობითი ჩვენებების წარდგენამდე, ასეთი გადაწყვეტილება თავისთავად არ გამორიცხავს მხარის მიერ ამავე მოწმის წერილობითი ჩვენებების წარდგენას.

5.5. არბიტრაჟის შემადგენლობას, ასევე, შეუძლია, თუ დასაშვებად ჩათვლის, თავად შესთავაზოს მხარეს კონკრეტული მოწმის წერილობითი ჩვენებების წარდგენა მოსმენამდე.

5.6. თუ მოწმის წერილობითი ჩვენებები წარდგენილია მხარის მიერ 5.4. პუნქტის შესაბამისად ან არბიტრაჟის შემადგენლობის მიერ მოწვევით 5.5. პუნქტის თანახმად, არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, მიიღოს გადაწყვეტილება რომ შესაბამისი მოწმე არ იქნება გამოძახებული მოსმენაზე დასაკითხად.

5.7. მაგრამ, თუ მხარე მოითხოვს იმ მოწმის გამოძახებას, რომლის წერილობითი ჩვენებები წარადგინა მეორე მხარემ, არბიტრაჟის შემადგენლობა ვალდებულია, საერთო წესის შესაბამისად, გამოიძახოს მოწმე ჩვენებების მისაცემად, თუ მას არ გააჩნია მყარი საფუძვლები აღნიშნულის საწინააღმდეგოდ.

5.8. წერილობითი ჩვენების წარმდგენი მოწმის დაბარებაზე უარის თქმის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება არ ზღუდავს არბიტრაჟის შემადგენლობის უფლებას შეაფასოს ასეთი მოწმის ჩვენებები საკუთარი მიზანშეწონილობის მიხედვით.

5.9. მოსმენისას ფაქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ნებისმიერი მოწმის დაკითხვა წარმოებს არბიტრაჟის შემადგენლობის მითითებებისა და მისი კონტროლის ქვეშ. არბიტრაჟის შემადგენლობა უფლებამოსილია მოხსნას მოწმის წინაშე დასმული კითხვა, თუ ის საქმესთან კავშირში არ არის, დუბლირებულია, საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის არქონეა ან სხვა საფუძვლით. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, არბიტრაჟის შემადგენლობას, ასევე, შეუძლია დააწესოს სხვა შეზღუდვები, მათ შორის, მოწმის დაკითხვის წესის დადგენის, დაკითხვის ხანგრძლივობის ან საკითხების სახეობის ან მოწმეების ერთდროული დაკითხვის შესახებ, როგორც ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

მუხლი 6. ექსპერტები

6.1. არბიტრაჟის შემადგენლობა უფლებამოსილია, მხარეთა მოთხოვნის ან საკუთარი ინიციატივით და მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, დანიშნოს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი დასკვნის წარმოსადგენად სადავო საკითხებზე, რომლებიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას.

6.2. ექსპერტის დანიშვნის შემთხვევაში, არბიტრაჟის შემადგენლობამ უნდა:

a. მიმართოს მხარეებს გამოითხოვოს მხარეებისაგან წინადადებები, თუ ვინ უნდა დაინიშნოს ექსპერტად. ამ მიზნით, არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები პოტენციურ ექსპერტებს, კერძოდ, მათი კვალიფიკაციის, დაკავებულობის, მომსახურების ღირებულების მიმართ და შეატყობინოს აღნიშნული მოთხოვნები მხარეებს. არბიტრაჟის შემადგენლობა არ არის ვალდებული დანიშნოს ექსპერტად რომელიმე მხარის მიერ შეთავაზებული კანდიდატი და შეუძლია:

i. დანიშნოს კანდიდატი, რომელიც:

a) წარადგინა ერთ-ერთმა მხარემ; ან

b) შერჩეულ იქნა თავად არბიტრაჟის შემადგენლობის მიერ;

ii. შექმნას ექსპერტთა ერთობლივი კოლეგია მხარეთა მიერ შეთავაზებული კანდიდატებისაგან; ან

iii. მოსთხოვოს ნეიტრალურ ორგანიზაციას, როგორიცაა სავაჭრო პალატა ან პროფესიული კავშირი, შეთავაზება მისაღები ექსპერტის კანდიდატურის შესახებ;

b. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, დაამტკიცოს დებულება არბიტრაჟის შემადგენლობის მიერ დანიშნული ექსპერტის უფლებამოსილებების შესახებ;

c. მოსთხოვოს მხარეებს საავანსო თანხის თანაბარწილად გადახდა ექსპერტის მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად. თუ რომელიმე მხარე უარს განაცხადებს მისი წილი საავანსო თანხის გადახდაზე, აღნიშნული თანხის გადახდა უნდა განახორციელოს მეორე მხარემ;

d. მოსთხოვოს მხარეებს, წარუდგინონ სრული ინფორმაცია და დოკუმენტები არბიტრაჟის შემადგენლობის მიერ დანიშნულ ექსპერტს, რომელიც მას შეიძლება დასჭირდეს ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით თავისი ვალდებულების შესასრულებლად;

e. კონტროლი გაუწიოს ექსპერტის მომსახურებას და შეატყობინოს მხარეებს აღნიშნული მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

6.3. არბიტრაჟის შემადგენლობის მიერ დანიშნულმა ექსპერტმა არბიტრაჟის შემადგენლობასა და მხარეებს უნდა წარუდგინოს მომზადებული ანგარიში.

6.4. მხარის მოთხოვნით ან არბიტრაჟის შემადგენლობის ინიციატივით, ექსპერტი გამოძახებულ უნდა იქნას მოსმენაზე დაკითხვის მიზნით.

6.5. არბიტრაჟის შემადგენლობის მიერ ნებისმიერი ექსპერტის დანიშვნა არ ართმევს მხარეს უფლებას წარადგინოს მის მიერ დანიშნული ნებისმიერი საექსპერტო დასკვნა. ნებისმიერი სხვა მხარის ან არბიტრაჟის შემადგენლობის მოთხოვნით, ასეთი ექსპერტი დაბარებულ უნდა იქნას მოსმენაზე დაკითხვის მიზნით.

6.6. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია, მის ან/და მხარის მიერ დანიშნულ ნებისმიერ ექსპერტ(ებ)ს, დაავალოს მათი ანგარიშების შინაარსთან დაკავშირებული კითხვების ერთობლივი სიის შეთანხმება იმ საკითხებზე, რომელთა კვლევას ისინი საჭიროდ მიიჩნევენ.

6.7. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია, მის ან/და მხარის მიერ დანიშნულ ექსპერტ(ებ)ს (არსებობის შემთხვევაში), დაავალოს თათბ**ი**რის ჩატარება და ერთობლივი ანგარიშის მომზადება იმ მიზნით, რომ არბიტრაჟის შემადგენლობას წარედგინოს:

a. საკითხების ჩამონათვალი, რომლებზეც ექსპერტებს გააჩნიათ ერთიანი მოსაზრება;

b. საკითხების ჩამონათვალი რომლებზეც ექსპერტებს გააჩნიათ სხვადასხვა მოსაზრებები; და

c. თუ შესაძლებელია, ექსპერტების აზრთა სხვადასხვაობის საფუძვლები.

მუხლი 7. პრინციპი „სასამართლომ იცის კანონი" (Iura Novit Curia)

7.1. მხარეს ეკისრება საკუთარი სამართლებრივი პოზიციის მტკიცების ტვირთი.

7.2. თუმცა, არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია გამოიყენოს სამართლის ის ნორმები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ საჯარო წესრიგის ნორმები. ასეთ შემთხვევებში, არბიტრაჟის შემადგენლობამ უნდა მოისმინოს მხარეთა მოსაზრებები იმ სამართლის ნორმების მიმართ, რომელთა გამოყენებასაც ის აპირებს. არბიტრაჟის შემადგენლობა, ასევე, უფლებამოსილია მიუთითოს იურიდიული წყაროები, მაშინაც, როცა მხარეებს ისინი არ წარუდგენიათ, თუ აღნიშნული წყარო უკავშირდება მხარეთა მიერ განსაზღვრულ სამართლის ნორმებს და იმ პირობით, რომ მხარეებს ასეთ იურიდიულ წყაროებთან მიმართებით მიეცათ შესაძლებლობა გაეკეთებინათ თავიანთი კომენტარები.

მუხლი 8. მოსმენა

8.1. საქმის განხილვის ხარჯების შემცირების მიზნით და იმდენად, რამდენადაც ეს მიზანშეწონილი იქნება კონკრეტული საქმისათვის, არბიტრაჟის შემადგენლობა და მხარეები უნდა მიისწრაფოდნენ გადაწყვიტონ დავა მხოლოდ წერილობით**ი** დოკუმენტებზე საფუძველზე.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე მოითხოვს ზეპირ მოსმენას ან თუ არბიტრაჟის შემადგენლობა საკუთარი ინიციატივით, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ზეპირი მოსმენის ჩატარებას, მხარეები და არბიტრაჟის შემადგენლობა უნდა მიისწრაფოდნენ ზეპირი მოსმენის ორგანიზებისაკენ რაც შეიძლება ეფექტური დანახარჯებით, მათ შორის, მოსმენის ხანგრძლივობის შემცირების გზით და ვიდეო, ელექტრონული ან სატელეფონო კომუნიკაციის გამოყენებით, არბიტრების, მხარეებისა და პროცესში მონაწილე სხვა პირების სამივლინებო ხარჯების თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 9. ხელშეწყობა დავის მორიგებით დარეგულირებაში

9.1. განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, არბიტრაჟის შემადგენლობას შეუძლია ხელი შეუწყოს მხარეებს დაასრულონ დავა მორიგებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთ-ერთი მხარე მორიგებაზე უარს აცხადებს.

9.2. ყველა მხარისგან წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ, არბიტრაჟის შემადგენლობის ნებისმიერი წევრი შეიძლება, ასევე, გამოვიდეს მედიატორის როლში, რათა დაეხმაროს მხარეებს დაამთავრონ დავა მორიგებით.

9.3. თუ მედიაციის შედეგად შეთანხმებულ ვადაში მხარეთა მორიგება ვერ მოხდა, არბიტრაჟის შემადგენლობის წევრს, რომელიც იყო მედიატორი:

a. შეუძლია, მედიაციის პროცედურის დასრულებისთანავე, ყველა მხარისგან წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ, გააგრძელოს არბიტრად მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში; ან

b. უნდა შეწყვიტოს თავისი უფლებამოსილება არსებული საარბიტრაჟო რეგლამენტის შესაბამისად, თუ ყველა მხარისგან ასეთი წერილობითი თანხმობა არ იქნა მიღებული.

მუხლი 10. მხარის პოზიციის საწინააღმდეგო დასკვნა

თუ მხარე არ ასრულებს არბიტრაჟის შემადგენლობის განკარგულებებს ან დავალებებს საპატიო მიზეზის გარეშე, არბიტრაჟის შემადგენლობა უფლებამოსილია, როცა ეს მიზანშეწონილია, საქმეზე ან მის ცალკეულ საკითხზე, გააკეთოს დასკვნა ამ მხარის პოზიციის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 11. ხარჯების განაწილება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ხარჯების განაწილების საკითხის განსაზღვრისას, არბიტრაჟის შემადგენლობას, ასევე, შეუძლია მხედველობაში მიიღოს მხარეთა მოქმედებები საარბიტრაჟო განხილვის მსვლელობისას, მათ შორის საქმის ეფექტურად განხილვისათვის ნებისმიერი ხელშეწყობა თუ დახმარება (ან ასეთის არარსებობა) ხარჯებისა და დროის დაზოგვის მხრივ.

მუხლი 12. არბიტრების თათბირი

12.1. არბიტრაჟის შემადგენლობა უნდა მიისწრაფოდეს გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მაქსიმალურად მოკლე ვადებში.

12.2. არბიტრაჟის შემადგენლობამ ურთიერთშორის უნდა განიხილოს საქმე მოსმენის ჩატარებამდე და ასევე, ჩაატაროს თათბირი რაც შეიძლება სწრაფად მოსმენის შემდეგ. თუ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა ხორციელდება მხოლოდ წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე, არბიტრაჟის შემადგენლობამ უნდა ჩაატაროს თათბირი რაც შეიძლება სწრაფად საქმის მასალებში ყველა დოკუმენტის წარდგენისთანავე.